

გამოცემა „ნაკადულის“ რედაქციისა № 1.

37

# საცხოვრითი განატლება

105f


არა განატლების მიზანის განატლება

„გ ე რ ე ბ ი“

ჭურიანები

პ. სურგულაძესა.

22291026



სამსახურის მიერ მიღებული არის

1937

ელექტრონის სტამბა წიგ. გ. ქართვ. ამჩანაგობისა.  
1905

**Дозволено цензурою 26-го апреля 1905 г. Тифлисъ.**

## დაწყებითი განათლება

ადამიანის დამახასიათებელი თვისება საზოგადოებრივბაა. საზოგადოების გარეშე წარმოუდგენელია ადამიანურ. თვისებათა განვითარება. გარდა ამისა, თუ დღეს ადამიანი გაბატონდა მთელ ბუნებაზე, დაიმორჩილა ის და თავის შიზნის მიხედვით იმსახურებს, ეს აიხსნება მხოლოდ იმ გარემოებით, რომ ადამიანი თან-და-თან ვითარდებოდა, ერთ თაობის მიერ შეძენილი ცოდნა და გამოგონება მეორე თაობაში გადადიოდა, სადაც ეს განძი კიდევ ვითარდებოდა. ამ შეუწყვეტელ განვითარებაში, თანდა-თანობით ამაღლებაში არის ადამიანის გამარჯვების საფუძველი. აკედან ცხადია, რომ საზოგადოება დაინტერესებულია წინაპართა ცოდნის დაცვაში, მას განვითარებასა და ზრდაში; ხოლო ეს დაცვა მოითხოვს აღზრდას, წვრთნას. ყოველ ეპოქას, ყოველ საზოგადოებას საკუთარი თავი-

სებურება აჩნევია, და საჭიროა, რომ მომა-  
ვალი წევრი აქ საზოგადოებისა გაიწვროთნას,  
გაიზარდოს, მოემზადოს ამ თავისებურებასთან  
შესაგუებლად. ამიტომ აღზრდა სოციალური  
კიოხვაა. აღზრდა მჭიდროდ არის შეკავშირე-  
ბული საზოგადოებრივ განვითარებასთან და  
მკაფიოდ აღზეჭდავს თავის მსვლელობაში ყო-  
ველივე ეპოქის თავისებურებას.

ცხადია, რამდენად რთულია სოციალური  
ცხოვრება, იმდენად მეტი შრომა და მომზა-  
დება უნდა ახალ თაობას, იმდენად დიდი ხა-  
ნი სჭირდება, რომ დიდების თანასწორი წევ-  
რი გახდეს. ველურ ხალხს არ აქვს სკოლა.  
და ეს ასეც უნდა იყოს. ველურის ცხოვრე-  
ბა მეტად სადაა, ცოდნით მეტად ღარიბია.   
მაშ რაღა საჭიროა მის ახალ თაობისთვის  
განსაკუთრებულ დაწესებულების შექმნა გა-  
ნათლებისათვის? მაგრამ აი გართულდა სა-  
ზოგადოება, განაწილდა შრომა, ცოდნაც  
საქმაოდ მოგროვდა, ერთის სიტყვით, დაიწ-  
ყო ცივილიზაციის ეპოქა. მაშინ სკოლაც  
გაჩნდა. ხოლო ძველს დროში სკოლას ვიწ-  
რო ფარგალი ჰქონდა. ძველ ცივილიზაციის  
ხალხებში ყველაზე უწინ გამონაწილდა ერ-  
თი წოდება, რომლის დანიშნულება იყო

სარწმუნოებრივ საქმის გაძლოლა და ამ მიზნისთვის სხვა-და-სხვა ცოდნის შეძენა. ეს იყო ქურუმთა წოდება. რამდენიმე ათასის წლის წინად ქურუმთათვის სკოლები ატსებობდა ეგვიპტესა, ინდოეთსა, ბაბილონსა, სპარსეთსა და სხვა ძველ ცივილიზაციის წარმომადგენელ ქვეყნებში. ქურუმი უკვირდებიან სარწმუნოებრივ კითხვებს, სწავლობენ სამყაროს მოვლენებს, თვალს აღევნებენ განსაკუთრებით ცის მნათობთა მოძრაობას, ბევრს ჭეშმარიტებას იძენენ, მაგრამ ყოველი ცოდნა თავიანთ საიდუმლოებად აქვთ აღიარებული, მალავენ, როგორც წმინდა ჩასმე, და მხოლოდ მათის წოდების ვიწრო წრეში შეიძლება ამ ცოდნის შესწავლა.

ძველ ათინის დემოკრატიულმა წყობილებამ გამოიწვია საზოგადოებრივ სკოლების გაჩენა, პოლიტიკურ აღზრდის საჭიროება, გაჩნდა სამქერმეტყველო, ფილოსოფიური და სხვა სკოლები, მაგრამ აქაც განკერძობაა. ათინის დემოკრატია თავის ძლიერებით დაყრდნობილია უვიც, უენო მონაზე, რომელიც უბრალო ნივთია, ცოცხალი საქონელია. ამ ნაირად ძველ დროში განათლებას ჰქონდა განსაზღვრული ფარგალი, მის ღირ-

სად ხდებოდნენ ქურუმები და რაოდენადმე პოლიტიკურად გაბატონებული კლასები. გარდა ამისა მაშინ განათლება გავრცელებული იყო მხოლოდ ცივილიზაციის მქონე პაწაწა კუთხეებში. ხოლო დედამიწის უმთავრესი ნაწილი მოკლებული იყო ყოველგვარ ორგანიზაციას ცოდნის გასავრცელებლად. საქმე ცოტად საშუალო საუკუნოებში შეიცვალა. ქრისტიანობის გავრცელებამ დაბადა ეროვნული ცოდნა, გააჩინა ეროვნული მწიგნობრობა. არა ერთ ხალხში მომდინარეობს მწიგნობრობის დასაწყისი ქრისტიანობის მიღებიდან. მაინც ამ ხანაშიც მწიგნობრობას ვიწრო სარწმუნოებრივი ფარგალი აქვს და ხალხში ვერ ვრცელდება. ფეოდალობა თავის კარ-ჩაკეტილობით არ უწყობდა ხელს ხალხის განვითარებას. მასთან თვით ფეოდალები ხედავდნენ, თუ რაოდენ ხელსაყრელი იყო მათთვის ხალხის, გლეხობის უვიცობა. ბრიყვი, განუვითარებელი ხალხი უფრო ადვილი დასამორჩილებელი და საჯიჯგნია. ამიტომ როცა ფრიდრიხის დიდმა 1763 წ. გამოაქვეყნა სასკოლო რეგლამენტი, სადაც წერა-კითხვის სწავლა ყველასთვის სავალდებულოდ იყო გამოცხადებული, მის წინ

ნაღმდევ ამხედრდნენ ფეოდალები და რევ-  
ლუმენტიც ცალიერ სიტყვად დარჩა. ფეო-  
დალები აცხადებდნენ უკმაყოფილებას და  
ამბობდნენ: „განა მეღორისოვის წერა-კითხვა  
საჭირო არისო?“ აქ ჩვენ შეგვიძლია მოვიხ-  
სენიორ მხოლოდ რამდენიმე დიდი ქალაქი,  
სადაც დაწყებითი სკოლები პირველად და-  
არსდა. მიუხედავათ ამისა ვერც ძველ ისტო-  
რიაში, ვერც ფეოდალობის ხანაში ჩვენ ვერ  
ვხედავთ, რომ დაწყებით სწავლების საქმე  
საჭვეყნო საქმედ იყოს აღიარებული და აუ-  
ცილებელ საჭიროებას შეაღგენდეს.

სახალხო სწავლის ორგანიზაცია, მისი  
საყოველთაო საჭიროებად აღიარება ეკუთ-  
ვნის ახალ ხანას, იმ ეპოქას, რომელიც მო-  
ჰყვა საფრანგეთის რევოლუციას, ერთის სიტ-  
ყვით, მე-XIX საუკუნეს.

ამ ახალ ხანას ინდუსტრიის ხანა უნდა  
ვაწეოდოთ. გაძლიერდა წარმოება, უპირატე-  
სობა მრეწველობის მხარეს გადავიდა, ქვეყ-  
ნის ცენტრად გადაიქცა ქალაქი. ამ მოვლე-  
ნას თან დაჰყვა ძირითადი ცვლილებანი კლას-  
თა ურთიერთობაში. ერთის მხრით დადგა  
კაპიტალისტი, რომლის ხელში არის საწარ-  
მოვო საშუალებანი: მან ქანები, იარაღები,

ქარხნები, დაუმუშავებელი მასალა და სხვა. მეორე მხრით სამუშაო ძალის მქონე, ესე იგი მუშა.

ამნაირად საზოგადოება ორ კლასად გაიყო: კლასი მესაკუთრეთა, რომელთა ხელშია წარმოების საშუალებანი, და კრასი მუშათა, რომელიც თავის პირად შრომით აწარმოვებს მრეწველობას. ამ ახალშა ხანამ ძირითადი ცვლილება მოახდინა საზოგადოებაში. მან გამოიწვია ქვეყნის გაერთიანება, დაბადა ახალი ურთიერთობანი, რომელსაც თან მოჰყვა საერთო სოლიდარობის საჭიროება. დედამიწის ყველა კუთხეები დაუახლოვა ერთმანეთს მრეწველობის განვითარებამ, გადააბა მათ შორის მატერიალური ურთიერთობა და მასთან ერთად დაბადა გონებრივი ურთიერთობის საჭიროება. გაჩნდა სულ ახალი სახით დემოკრატიული მიმდინარეობა; დემოკრატია შეებრძოლა ძველ წყობილების ფორმებს და მოიპოვა თავისუფლება სიტყვის, მწერლობის, სინდისის, კრების და ბევრი სხვა რამ, მაგრამ ძირითადი საფუძველი საზოგადოებრივ უთანასწორობისა, წარმოების ორგანიზაცია თანასწორობის პრინციპზე ჯერაც ვერ შეცვლილა. მიუხედავად ამისა უნდა

აღვნიშნოთ, რომ დემოკრატია კუალ და კუალ ახორციელებს საზოგადო ონასწორობის პრინციპს და მუდმივ წინსვლაშია ამ გზაზე. ამნარად ახალი ხანა ჩვენ უნდა დავახასიათოთ, როგორც დემოკრატიას თანდათანი მობილიზაციას პროცესი, რომლის საბოლოო მიზანია — დაამყაროს ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც მოსპოტს ექსპლორაციას, კლასობრივ ურანასწორობას და დაამყარებს ნამდვილ თავისუფლებას.

როგორის თვალით უცქერის დემოკრატია განათლებას, რა იდეალი აქვს მას ამ მხრივ? ისტორიულად გავითვალისწინოთ კითხვა. მას შემდეგ, რაც ფეოდალობა დაეცა და ახალი ხანა დადგა, განაოლების საქმე უმჟავრეს კითხვად გახდა საზოგადოებისათვის. მაზე ზრუნვას სახელმწიფო, ქალაქი, სოფელი, საზოგადოებანი, ის არის ერთი ძირითადი კითხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციისა. ამ ზრუნვას თან-და-თან ერთი მიღრეკილება ემჩნევა — განათლება საყოველთაო კუთვნილებად, ყველასთვის ხელმისაწილომად გახადონ. ამ მიღრეკილებას ჩვენ შეგვიძლიან ვუწოდოთ კამუნიზმი განათლების საქმეში.

ამ მოვლენას მიზეზად ჰქონდა ორი ძირითადი გარემოება: ეკონომიური და პოლიტიკური. როგორც ხევით ვთქვით, დღევანდელი ეპოქა არის მანქანის ხანა. ადამიანმა ბევრი საჭმე მოახვია მანქანას და თავის მაგიერ ამუშავებს ბუნების ძალებს. დღეს ის ხალხია უფრო დაწინაურებული, ის ხალხია უფრო მაღალი კულტურის მქონე, რომელიც მანქანურ წარმოებას უფრო მაღალ ხარისხის განვითარებამდე მიუღწევია. ხოლო მრავალმა დაკვირვებამ და გამოკვლევამ ქვეყნიერების ყოველ კუთხეში დაგვანახვა, რომ დღევანდელ წარმოებაში, რამდენად მუშა უფრო განვითარებულია, იმდენად მისი შრომაც ნაყოფიერია; გარდა ამისა ბევრ წარმოებაში წერა-კითხვის უმეცარ მუშის ჩაყენება შეუძლებელია. მანქანა მოითხოვს თავის მართვაში გონიერებას, მიხვედრას, სისწრაფეს, სისტემატიურ შრომის უნარს და გულის ყურს. ყველა ეს თვისებები ადამიანში შხოლოდ სისტემატიურის აღზრდით ვითარდებიან. დარი ე. შულცე ამბობს: „რუსეთის ქარხნებს არ შეუძლიათ ამუშავონ ისეთი დიდი და ნაყოფიერი მანქანები, როგორც ინგლისისას, თუნდა მეტი მუშებიც

შემოახვიონ, იმიტომ რომ რუს მუშებს, როგორც განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე მდგომთ, არ შეუძლიათ გაუძღვნენ დიდა მანქანის მუშაობას, სადაც საჭიროა ბევრ ადამიანის შეთანხმებული მოქმედება.“ იმავე შულცეს მოჰყავს შემდეგი მაგალითი. გასულ საუკუნის ნახევარში ერთმა სხვილმა შვეიცარიელმა მექარხნემ მიიწვია თავის ქარხანაში სხვა და სხვა ეროვნების მუშები. თუმცა ძალიან მოსწონდა იტალიელების ბუნებრივი სიმკვირცხლე და შიხვედრა, მაინც იძულებული იყო ისეთ საშუალებები, სადაც საჭირო იყო რამდენიმე მუშის შეთანხმებული შრომა, სხვა მუშები მოეწვია, სახელდობრ შვეიცარიელები და საქსონელები, რომელთაც უკეთესი განათლება მიეღოთ და მაშასადამე უფრო განვითარებულიც იყვნენ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს უმაღლესი განვითარება ტეხნიურ ცოდნაში კი არ გამოიხატებოდა, არამედ უფრო მაღალ საზოგადო განათლებაში. ამავე დროს მექარხნემ დაიბარა ინგლისელი მუშებიც, რომელნიც წარჩინებულ ტეხნიურ მომზადების გამო ხსენებულ წარმოებაში სულ ყველა დანარჩენ მუშებს გაცილებით სჯობდნენ.

მაგრავ როდესაც იგივე ინგლისელები მუშაობდნენ ისეთ საქმეში, რაც მათ სპეციალურად არ შეესწავლათ, საზოგადო განათლების მუშები ყოველთვის სჯოპნიდნენ, სახელდობრ საქსონელები \*). ამერიკელი ჯარვისი თავის შრომაში: „საზოგადო განათლების მნიშვნელობა ხელსაქმის სფერაში“ სწერს: „ერთი ინსპეკტორი ბამბის ქარხნისა სტუმარს უჩვენებს ოთახს, სადაც შედარებით უფრო განათლებული ქალები მუშაობდნენ და ამბობს: ეს საქსოვი დაზგები ოცი პროცენტი მეტს ამზადებენ, ვიდრე მეორე ოთახში, სადაც მუშაობენ სულ მცირედ განათლების მქონე ქალები; ქვემოთ კი, სადაც სულ უვიცი ქალები მუშაობენ, იქ დაზგების წარმოება ორიოცდა ათი პროცენტით ნაკლებია.“ ხელფასის რაოდენობა ერთ და იმავე წარმოებაში საუკეთესო მაჩვენებელია მუშის ღირსებისა. ცხადია, მექარხნე ფულს ტყუილად არ გადაყრის; თუ ერთს მეტს აძლევს, მეორეს ნაკლებს, ამისთვის საფუძველიც აქვს და ეს საფუძველი თავდაპირველად შრომის ნაყოფიერებაა და ნამუშავარის ღირსება. ყვე-

\*) Д-рѣ Ҵ. Шульце Общедоступныя библиотеки, გვ. 30.

ლა მკვლევარები ყოველ ქვეყნიდან საერთოდ აღიარებენ, რომ უფრო მაღალ განათლების მქონე მუშები საზოგადოდ მეტ ხელფასს იღებენ, ვიდრე ნაკლებად განვითარებულები. ეს იმას ნიშნავს, რომ პირველნი უფრო სწრაფად მუშაობენ და მეტს საჭინელს ამზადებენ. ამერიკის შეერთებულ შტატების ერთ შტატში, სახელმობრ მასაჩუსეტში, რომელიც პირველობს ამერიკაში სწავლის რიგიანად მოწყობით, მოახდინეს გამოკვლევა, თუ რა დამოკიდებულება არსებობს თვითეულ მუშის განათლების ხარისხსა და ხელფასის რაოდენობის შორის. აღმოჩდა, რომ უმცარესი ხელფასი ეძლევოდათ იმ მუშებს, რომელნიც ხელფასის მიღების ბარათზე ხელის მოწერის მაგიერ უბრალო ნიშანს სვამდნენ. ამას წინად მოსკოვისა და ვლადიმირის ბამბის საწარმოებო რაიონში მოახდინეს ამნაირივე გამოკვლევა. გამოარკვიეს, რომ მიუხედავად წლოვანებისა წერა-კითხვის არ მცოდნეთ ყველა დანარჩენებზე უმცირესი ხელფასი ეძლევათ. საზოგადოდ წერა-კითხვის მცოდნენი  $50\%$  მეტს ხელფასს იღებენ, ვიდრე წერა-კითხვის უვიცნი.

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ საზოგადო განათლებას დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს: ის ამაღლებს ადამიანის შრომის ნაყოფიერებას. გარდა ამისა დღევანდელ მრეწველობის ხანაში დიდი მნიშვნელობა აქვს პროფესიონალურ განათლებას. წარმოების სირთულე თავის გასაძლოლად მოითხოვს ხანგრძლივ წინასწარ მომზადებას. ამიტომაც მრეწველ ქვეყნებში, როგორიც არის ამერიკა, გერმანია, ინგლისი, განსაკუთრებულ ყურადღებას აპყრობენ პროფესიონალურ განათლებას. ხოლო პროფესიონალური განათლება შესაძლო არის საზოგადო განათლების საფუძველზე, მაშ საზოგადო წარმატება აქაც აუცილებელი საშუალებაა.

შევეხოთ თანამედროვე ცხოვრების მეორე მხარეს. თანამედროვე სახელმწიფოთა გამგე კლასები იმგვარ მდგომარეობაში არიან, რომ ისინი იძულებული არიან იყოლიონ დიდ ძალი შეიიჩიდებული ჯარი, რომ დაიცვან თავისი თავი, როგორც შინაგან, ისე გარეშე მტრებისაგან. შინ ბურუუაზის მებრძოლთა წინააღმდეგ, გარეთ ახალ ბაზრების შესაძენად და დასაცველად ურიცხვ ხარჯს ეწევიან, დიდალ ჯარს ინახვენ, ასე რომ

სამხედრო ხარჯი დღევანდელ სახელმწიფო-ებში აღემატება სულ ყველა დანარჩენ ხარჯებს. რას ვხედავთ ამ მხრივ? თანამედროვე სამხედრო საქმე რთული რამ არი. სხვა და სხვა გამოგონება ზედი-ზედ მისდევს ერთი მეორეს, საპრძოლველი იარალი მეტად რთულდება და თავის გასაძლოლად მოითხოვს მეტ ცოდნასა და მომზადებას; გარდა ამისა დღეს აღმოჩნდა, რომ თუ სალდათს ბრძოლის ველზე თავისი დამოუკიდებელი მსჯელობა არ აქვს, ვერ მოისაზრებს გონივრულათ, ვერ ასწონ-დასწონს საქმის ვითარებას და სულ თავის უფროსს შესცემრის, ის სრულიად უვარგისია და უმნიშვნელო. ამ ნაირად სამხედრო ტეხნიკა და საქმის გაძლოლა მოითხოვს განათლებას, განვითარებას. რიცხვის მნიშვნელობა თანამედროვე ჯარში თან-და-თან გუირდება, ლირსების მნიშვნელობა კი თან-და-თან იზრდება. ეს ყველას-თვის საანბანო ჭრიშირიტებაა დღეს. ევროპაში ყოველ დიდ დამარცხებას თან მოსდევდა დამარცხებულთა ჭვეყანაში სკოლების გამრავლება. ფრანგები გაფაციცებით შეუდგნენ განათლების საქმეს გერმანიასთან ომში დამარცხების შემდეგ. საკმარისია მივაჭროთ

უურადლება იაპონიას, რომლის შეილთა მა  
მაცობა და სამხედრო შორსმკვრეტელობა  
დღეს ქვეყანას აოცებს და საარაკოდ გადაქ-  
ცეულა. იაპონიაში 1872 წელს გამოსცა კა-  
ნონი სახალხო განათლების შესახებ, რომ-  
ლითაც შემორღო საყოველთაო სავალდებუ-  
ლო სწავლა, იმ „განზრახვითაო“, როგორც  
მთავრობა აცხადებდა, „რომ არც ერთ სო-  
ფელში არ დარჩენილიყო უვიცი ოჯახი და  
არც ერთ ოჯახში უვიცი წევრი“. ჩინეთ-  
იაპონიის ომის შემდეგ იაპონიის აფიცრებს  
თავი შოსწონდათ — იაპონიაში ყოველმა სალ-  
დაომა იცის წერა-კონხვა და ანგარიში, ჩი-  
ნეთის ჯარში კი ხშირად თვით აფიცრებმაც  
არ იციან უბრალო ნიშნების დასმაო. რამ-  
დენად დიდად აფასებენ სახალხო განათლე-  
ბას იაპონიაში, ეს იქიდანაცა სჩანს, რომ  
ჩინეთ-იაპონიის ომის გათავების შემდეგ სა-  
ზოგადოებამ მოითხოვა, ჩინეთიდან აღებული  
კონტრიბუცია მთლად განათლების საჭმეს  
მოხმარებოდა. რა შედეგი აქვს იაპონელე-  
ბის განათლებას სამხედრო საჭმისათვის, მის  
განმარტებას აღარ გამოვუდგებით, რადგან  
დღეს ყველასთვის ცხალი და გამორკვეულია  
ეს საკითხი.

ამნაირად გამოვარკვიეთ, რომ დღევან-  
დელ წარმოების ხანაში, მანქანის მეფობაში  
განათლება ერთი აუცილებელი საჭიროება-  
თაგანია, მას სტიქიურ აუცილებლობის მნიშ-  
ვნელობა აქვს. ვინც დღეს განათლების წი-  
ნააღმდევია, მას მოელის ერთსებობისთვის  
ბრძოლაში დამარცხება, შერცხვენა, განად-  
გურება. როგორც მრეწველობა, ისე სამხედ-  
რო საქმე აუცილებლად • მოითხოვს საერთო,  
სახალხო განათლებას. ეს კარგად ესმის გა-  
ნათლებულ ქვეყნების ბურჯუაზიას და ამი-  
ტომ არავითარ საშუალებას არ ზოგავს გა-  
ნათლების გასაყითარებლად; განათლების საქ-  
მე მისთვის საარსებო კითხვაა. მაგრამ განათ-  
ლების საქმე გაბატონებულ კლასებისათვის  
ერთ მხრივ მავნებელიც არის. კარგად ესმის,  
რომ დაწყებითი განათლება ცივილიზაციის უ-  
ფერმენტია. განათლება ავითარებს ხალხში  
გონიერივ დამოუკიდებლობას, საკუთარ გზის  
ძებნას, ოლონიერებს, გონიერივად, უადვი-  
ლებს თანამედროვე ცხოვრების კრიტიკუ-  
ლის თვალით შეხედვას, ექსპლოატაციის გა-  
მოაშკარავებას, მშრომელთა ერთობის დამ-  
ყარებას და ამით ძრის უთხრის თანამედროვე  
წყობილებას და მასთან ერთად ექსპლოატა-

ტორთა ბატონობას. ამიტომაც გაბატონებული კლასი ცდილობს განათლების საქმე გონიერივათაც თავის სასარგებლოდ მომართოს, მეაყვაროს ხალხს ავტორიტეტი, თავისი ბატონობის აუცილებლობა. ამიტომ სასკოლო პოლიტიკაში გაბატონებულთა კლასი იმდენად გონიერივ განვითარებაზე არ ცდილობს, რამდენადაც ხალხის ჭიუაზე ბატონობას. სკოლას ეძლევა პოლიტიკური მნიშვნელობა. ის მოკლებულია თავისუფალ განვითარებას, საჭიროებს ემანსიპაციას. ვინ უნდა მოახდინოს ეს ემანსიპაცია? რასაკვირველია, იმ კლასში, რომელიც საზოგადოდ ებრძვის ყოველ გვარ დაჩაგვრას და საერთო თანასწორობის დამყარების განხორციელებას ემსახურება—ეს დემოკრატიის საქმეა.

როგორ უნდა მოეწყოს განათლების საქმე დემოკრატიის შეხედულებით? თავდაპირველიდ უნდა შევეხოთ დაწყებით განათლებას. დაწყებითი განათლება დღეს პილება 7—16 წლამდე.

**დაწყებითი განათლება უნდა იყოს საგადაებული.** ეს აპრი ამნაირად ვამოსთქვა მასაჩუსეტის შუშათა კავშირის მდივანში: „არვინ არ უნდა გამოუშვან ცხოვრების სარ-

ბიელზე, სანამ ელემენტარულ განათლებას  
მაინც არ მისცემენ, რადგან უსწავლელ მუ-  
შათა კლასი წარმოადგენს მუდმივ საფრთხეს  
და ზარალს შრომის ინტერესებისათვის ყო-  
ველ საზოგადოებაში და ყოველ სახელმწი-  
ფოში.“ არ იფიქრით, ამ აზრს მოწინააღმ-  
დეგენი არა ჰყავდეს. პირიქით, გასულ საუ-  
კუნეში გაცხარებული ბრძოლა იყო ხსენე-  
ბულ პრინციპის გარშემო. მის წინააღმდეგ  
ამხედრდნენ ის ძალები, რომელთაც შიშის  
თავზარს სცემს ხალხის გაძლიერება. განათ-  
ლება ხომ ძლიერებაა. პოლიტიკურ მოსაზ-  
რებით განათლების მოწინააღმდეგეთ, ყო-  
ველ გვარ რეაქციონერებს არავითარი პრინ-  
ციპიალური საფუძველი თავიანთ აზრისა თა-  
ვის დღეში არ ჰქონიათ, მათი უსინიდისობა  
ამ საქმეში ყველასათვის აშკარაა. ერთად-  
ერთი აზრი, რომელიც მათ წამოაყენეს სა-  
ვალდებულო სწავლის წინააღმდეგ იყო ოჯა-  
ხის თავისუფლების დაცვა. ისინი ამბობდნენ,  
სავალდებულო სწავლა ოჯახის შევიწროე-  
ბაა, მისი თავისუფლების შეზღუდვაა. პირ-  
ველის შეხედვით ეს თითქო მართალიცაა,  
ჰაგრამ საქმეს თუ ჩავუკვირდებით, სულ სხვას  
დავინახავთ. ჯერ ერთი—აზჯახი განცალკე-

ვებული რამ როდია, ის მჭიდროდ არის შეკავშირებული საზოგადოებასთან . საზოგადოება ვერ უყურებს გულ-გრილად ოჯახის მოქმედებას. თუ თქვენ არა გსურთ თქვენს შვილს ასწავლით, მოამზადოთ შეგნებულ საზოგადო ცხოვრებისთვის, თქვენ სურვილში იხატება საზოგადოების მუქარა. მოქალაქობრივ საზოგადოების ინტერესია შეასუსტოს სილარიბე, ბიწიფრება, დანაშაულებანი, ამისათვის კი ერთი საშუალებათაგანი განათლებაა. გარდა ამისა ყოველ დემოკრატიულ საზოგადოების წევრის მოვალეობაა მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო საქმეებში და მოქალაქის უფლებებით ისარგებლის. როგორ შეუძლია მოქალაქეს ასე მოიქცეს, თუ კი უმეცარი დარჩება? ამ ნაირად ის ოჯახი, რომელიც თავის შვილის განათლების წინააღმდეგია, თავისუფლების მტერია და არა დამცველი. მეორე მხრით განვითარება ყოველ ავტორიტეტის შესუსტებაა და პირად თავისუფლების გაძლიერება. წინანდელ დროში ოჯახის უფროსის ავტორიტეტი მეტად ძლიერი იყო. მამის უფლება თითქმის განუსაზღვრელი იყო. მამა პაწაწა სახელმწიფოს აბსოლიუტურ მონარქის როლს

თამაშობდა. ასეთი მდგომარეობა კი შეუძლებელია. მაგრა უფლებას დემოკრატიამ და უპირდაპირა მომავალის უფლება, შვილს უფლება. ქორწინებით ცოლ-ქარი მოვალეობიდება საზოგადოებას მოუმზადოს შთამომავლობა: გამოჰკვერონ, შეინახონ და აღზარდონ. აღზრდა კი განათლებას ნიშნავს ადამიანისათვის, მშობელები ვალდებულნი არიან მიაწოდონ შეიღებს სხეულის და გონების საზრდო. ამ ნაირად ოჯახის მოვალეობაა შვილს განათლება მისცეს და თუ ამ მოვალეობას არ ასრულებს, სახელმწიფოს უფლებაა ამძღვლოს. ამ მოვალეობის შესრულება. რომ ასეთი წესი არ მოასწავებს ოჯახის უფლების შესუსტებას, არამედ პირიქით შეეფერება საზოგადოების საღ განვითარებას, ამის დასამტკიცებლად საკმარისია დავასახელოთ შეერთებული შტატები და შეეიცარია, სადაც პიროვნების თავისუფლება შედარებით უმაღლეს საფეხურზეა და ამასთანავე განათლების ვალდებულებაც არსებობს. ამ ნაირად დემოკრატიამ თავის პროგრამაში შეიტანა განათლების ვალდებულება. დავასახელოთ რამდენიმე სახელმწიფო, სადაც საყალდებულება.

ლო სწავლაა შემოღებული: \*) შოტლანდიაში (5 წლ. 13 წლამდე); საფრანგეთში (6 წ. —13 წლის დასრულებამდე); პრუსიაში (6 წლ.—14 წლ. დასრულებამდე); ბავარია (6 წ. 13 წლ., დამატებითის კურსით 13—16 წ.); შვეიცარიაში (6 წ. 16 წლ.). ჩრდილო ამერიკის რესპუბლიკის ყველა შტატებში და სხვა ზოგიერთ სახელმწიფოში, განსაკუთრებით გერმანიაში. სავალდებულო განათლების პრინციპი დაწყებით სკოლის შემდეგაც მოქმედებს: ახალთაობა ვალდებულია კანონის ძალით იაროს სალამოს დამატებით კურსებზე და საკვირაო სკოლებში 16 წ—დან 18 წ—დე. ყოველ კანონის ვალდებულობა გამოიხატება მის აღსრულების აუცილებლობაში. ვინც კი არ ასრულებს მას, ის შესაფერ სასჯელს მიიღებს სახელმწიფოსაგან ან საზოგადოებისაგან. სავალდებულო განათლების კანონის დამრღვევთათვისაც დაწესებულია სასჯელი სხვა და სხვა სახელმწიფოში სხვა და სხვა ნაირი. საფრანგეთში სარევოლუციო მთავრობამ რესპუბლიკის მეორე წელიწადს (ნოემბერში 1794 წ.) დაადგინა

\*) ე. ლევასერი: Народное образование въ цивилизованныхъ странахъ, гл. 416.

შემდეგი კანონი: 1) „დედ-მამა ან მზრუნველი ბავშვისა ვალდებულია გაგზავნონ იგი სკოლაში დაწყებით სწავლის პისაღებად. 2) დედ-მამა და მზრუნველი, რომელიც არ მიაბარებს თავის შვილებს ან თავის მზრუნველობის ქვეშ მყოფ ბავშვებს სკოლაში, პირველ შემთხვევაში დაისჯება ჯარიმით; მეორედ კი ჰკარგავს მოქალაქობრივ უფლებებს ათის წლით. 3) ახალგაზდა ყმაწვილები, რომელნიც ოცი წლის გამხდარან, ხოლო არ უსწავლიათ არც მეცნიერება, არც ხელოვნება, არც ხელობა, საზოგადოებისათვის სასარგებლო, ათი წლით ჰკარგავენ მოქალაქობრივ უფლებათ. ამავე სასჯელით ისჯებიან მშობლები და მზრუნველები, რომელთა დაუდევრობით მოხდა კანონის დარღვევა.“

საზღვადოდ, სწავლის სავალდებულო კანონის დარღვევისათვის სხვა-და-სხვა სასჯელია მიღებული სხვა-და-სბვა სახელმწიფოში. ეს სასჯელებია: პირველად გაფრთხილება, შემდეგ ჯარიმა, ხან და-ხან დატუსაღებაც, ზოგიერთ სახელმწიფოში პოლიტიკურ უფლებათა ჩამორთმევა. მაგრამ დასჯით საწადელის მიღწევა შეუძლებელია. ყოველი კა-

ნონი დემოკრატიული მაშინ იქნება, როცა  
მისი შესრულება ერთნაირად შეუძლიან სულ  
ყველ ს. ამიტომაც არაა საკმარისი, რომ  
სწავლა სავალდებულო იყოს. ამასთან ერ-  
თად უთუდდ უსასეადღოც უნდა იყას.  
მთელს ხარჯს სწავლის ორგანიზაციისას თვით  
სახელმწიფო ან საზოგადოება უნდა კისრუ-  
ლოდეს. საფრანგეთის რევოლუციის ეპო-  
ქაში უასყიდლო სწავლის პრინციპი აღია-  
რა 1791 წლის კონსტიტუციამ, თანახმად  
ტალეირანის და კონდორისეს მოხსენებათა.  
ტალეირანი ამჰმადა: „საზოგადოებამ ყვე-  
ლაზედ უწინ ხარჯი უნდა გაიღოს იმისთვის,  
რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს თვით  
დაცვის და თვით-მართველობისათვის, რად-  
გან უპარველესად ყოელისა ის უნდა ზრუ-  
ნავდეს თავის არსებობისთვის. არა ნაკლებ  
ვალდებულია იზრუნოს ყველა იმისთვის,  
რაც აუცილებლად საჭიროა თვითეულის თა-  
ვისუფლების უზრუნველსაყოფად, რომ ააკი-  
ლოს თავის წევრებს ურიცხვი უბედურება,  
რომელიც აუცილებლმდ მოელის მათ საზო-  
გადოების ცუდად მოწყობის გამო. დასა-  
რულ ყოველ წევრს უნდა შეეძლოა ყო-  
ველ საზოგადოებრივ სიკეთით სარკებლობა.

ამ საფუძველზე აშენდა საზოგადოება და რაღვან, ცხადია, განათლებას პირველი ადგილი ეჭირა საზოგადოებრივ სიკეთეთა შორის, აქედგან აუცილებლივ მომდინარეობს ის დასკვნა, რომ საზოგადოება ვალდებულია ხარჯი გასწიოს იმისთვის, რომ განათლება ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს“.

როგორც ზემოდაც გამოვარკვიეთ, განათლება საზოგადო სიკეთეა, განსაკუთრებით აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, სადაც არსებობს საყოველთაო საარჩევნო უფლება. და რაც საზოგადო სიკეთეა, იპაზე საზოგადოებამ უნდა იზრუნოს და ხარჯიც გასწიოს. დღეს, მაგ., ქალაქი აკეთებს ქუჩებს, ანათებს, გაჰყავს გზები, აშენებს ხ-დებს, რაღვან ყველა ეს მიჩნეულია საზოგადო საჭიროებად. განა ნაკლები საჭიროებაა განათლება, სწავლა? ამაზე ზოგიერთი პასუხს იძლევა, რაც უსასყიდლოა, იმას ხალხი ჯეროვანის პატივისცემით არ ეპყრობა, არ აფასებსო. ესეც სრული შეცდომაა. ცხოვრების დაკვირვებამ და ფაკტების შესწავლამ სულ სხვა დაგვანახვა. საფრანგეთში 1867 წელს დიურუიმ თავის შესანიშნავ მოხსენებაში სტა-

რისტიკურად დამტკიცა, რომ ის ბავშვები, რომელთაც სწავლის ფული შემოჰქმნდათ, უფრო ბევრს აკლდებოდნენ გაკვეთილებს, ვიდრე უფასოდ მოსწავლენი. იგივე გამეორდა ბელგრაში. სასწავლო ფულის შემტანი დაესწრნენ სწავლას 181-ჯერ, ხოლო უფასონი — 184-ჯერ, თუმცა ესენი ღარიბ ოჯახიდან იყვნენ და სწავლის მოცდენა უფრო ეპიტიებოდათ. ამ ნაირად ხალხის წინაღმდეგ გავრცელებული ჭირი ყოველ საფუძველს მოკლებულია და, თუ სწავლა მისთვის ხელმისაწდომია, ხალხი სწავლას გვერდს არ აუხვევს. სხვათა შურის აქ შევნიშნოთ ერთი რამ. როგორც ზევით ვსთქვით, საფრანგეთში 1791 წ. კონსტიტუციამ უსასყიდლო სწავლა შემოიღო. მაგრამ შემდეგ ათასი ქარიშხალი დატყდა ოვს საფრანგეთს და ხელახლა აღდგენილ იქნა სწავლისთვის გადასახადი. ამით ისარგებლეს სხვა და სხვა სასულიერო კონგრეგაციებმა და უფასო სწავლა შემოიღეს. იური წლის განმავლობაში სამასწავლებლო კონგრეგაციებში მოსწავლეობი რიცხვმა იმატა და მრავილი ამდე ავიდა. კონგრეგაციების წევრობი რიცხვი ერთი სამად გახდა. 1843 წელს კონგრეგაციების

წევრთა რიცხვი იყო 16.958, ამათგან 3.218  
მამა-კაცი და 13.830 დედა-კაცი. ჰქონდათ  
7.590 სკოლა, სადაც სწავლობდა 706.917  
მოწაფე. 1864 წელს კონგრეგაციების წევ-  
რი იყო 46 840, ამათგან 8.635 მამა-კაცი  
და 38.205 დედა-კაცი, სკოლები ჰქონდათ  
17.206, მოწაფე ჰყავდათ 1.610.674 \*) დი-  
დი ბოროტება მოჰყვა ამ გარემოებას. თუ  
რა ულმობელი ბრძოლაა დღეს კონგრეგა-  
ციებთან საფრანგეთში, ეს ყველამ კარგად  
იცის. კონგრეგაციები სკოლების და ეკლე-  
სიის შემწეობით მედგრად შეებრძოლნენ მო-  
ქალაქობრივ, თავისუფალ საზოგადოებას და  
ლამობდნენ მისთვის სამარე გაეთხარათ. მაგ-  
რამ ბოლოს მაინც დემოკრატიამ გაიმარჯვა  
და სცდილობს, სანამ გვიან არ არის, ბო-  
ლო მოულოს ბერების თარეშს. მაგრამ ამა-  
ზე შემდეგ.

მიდის დრო და უსასყიდლო განათლე-  
ბაც უფრო მეტ სახელმწიფო ში შემოდის.  
საყოველთაო სრული უსასყიდლოაპა შემო-  
ღებულია შეერთებულ შტატებში; ამერიკე-  
ლების აზრით, ის პირდაპირ მომდინარეობს

\*) ე. ლაველე: Народное образование. გვ. 37.

სახელმწიფოს პოლიტიკურ წყობილებისაგან. შტატების მსგავსად უსასყიდლობა შემოღებულია ამერიკის რესპუბლიკის უმრავლესობაში: კანადაში, მექსიკაში, ცენტრალურ ამერიკის სახელმწიფოებსა, კოლუმბიასა, ვენეციუელასა, ეკვადორსა, ჩილისა, ბრაზილიასა, არგენტინისა რესპუბლიკასა და სხვაგან. საფრანგეთში სწავლის უსასყიდლობის გადაწყვეტა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ ვის ხელში იყო მთავრობა, ნამდვილი რესპუბლიკელები თავიდანვე იცავდნენ მას. ბოლოს როცა მესამე რესპუბლიკა დამკიდრდა, ბევრი დავიდარაპის და ბრძოლის შემდეგ შემოღებულ იქმნა 1881 წლის 16 ივნისის კანონით საყოველთაო სრული უსასყიდლობა დაწყებით სკოლებში. ინგლისში უსასყიდლობა დაკანონებული არ არის, მაგრამ ფაკტიურად თითქმის განხორციელებულია, რადგან 1891 წლის კანონით სკოლებს თითქმის სრულიად საქმაო სუბსიდია ეძლევათ. სრული უსასყიდლობა შემოღებულია: შვეიცარიასა, პორტუგალიასა, იტალიასა, რუმინიასა, ნორვეგიასა, საქსონიასა, ბოლგარიასა, განზის ქალაქებსა (ბრეზენი, ლიუბეკი, ჰამბურგი), შოტლანდიასა, სერბიაში. პო-

ლანდიაში, უსასყიდლობის შემოლება, საზოგადოებაზეა, კომუნაზეა დამოკიდებული, სახელმწიფო კი კისრულობს ხარჯების 30%. ბევრ სხვა ადგილისაც უსასყიდლოა დაწყებითი სწავლა. საღაც ფასიანია, იქაც გადასახადი ისე მცირედია, რომ, მაგალ., შვეციაში წლიური სწავლის ფული არ უნდა აღემატებოდეს 26 კაპ. საზოგადოდ, უნდა შვენიშნო, რომ სწავლის უსასყიდლობის პრინციპი არის ერთი დამახასიათებელი თვისებათაგანი დემოკრატიულ წყობილებისა. და როგორც დოეს დემოკრატიზმი საოცარის სისწრაფით ვითარდება, ისე მასთან ერთად ხსენებული პრინციპი საყოველთაო ხდება.

მაგრამ ესეც არ კმარა. როგორც ვიცით, მექარხნეებმა ხელფასის დასაწევად ბუვრწარმოებაში მიიზიდეს ბავშვები. თუ ბავშვი იმუშავებს ქარხანაში, როგორდა ისწავლოს? მასთან საზოგადოდ ბაშვების შრომა მუშებისათვის ეკონომიურად არავითარ სარგებლობას არ წარმოადგენს, მხოლოდ მათის ხელფასის დაცემას იწვევს. ამიტომ საჭირო გახდა კანონის ჩარევა, რომ სწავლის პერიოდში ბავშვების მუშაობის უფლება განე-

საზღვრაო და ბევრ ადგილას ასეც მოიქცნენ. საჭიროა სრულიად მოისპოს ბავშვის მუშაობა, სანამ მისი ორგანიზმი კოტაოდნად მაინც არ გამაგრდება. ესეც კოტაა. ბავშვს ეუბნებიო: მოდი, უსასყიდლოდ გასწავლიო. როგორ მოვიდეს? ხშირად ფეხსაცმელი არა აქვს, ტანთ არ აცვია, მშიერია, სასწავლო ნივთების შეძენა არ შეუძლიან. აქაც საზოგადოება უნდა დაეხმაროს. მართლაც იმ საზოგადოებებში, სადაც გამგეობა სოციალისტების, საზოგადოდ დემოკრატების ხელშია, ამ მხრივაც წინ წავიდნენ. საზოგადოება აწვდის ბავშვს ტანისამოს, სასწავლო ნივთებს, უსასყიდლო სადილს. ახორებულ ამერიკაში ხშირად მშობელი მთავრობას უჩივის, დამავალა შეილი სკოლაში უთუოდ გზავნეო და შეძლებაც მომცეს ამ დავალების ასასრულებლადო. სასამართლოც ყურადღებით არჩევს მის თხოვნას და ხშირად აკმაყოფილებს. ეს ნათლად გვიჩვენებს, საითკენ მიისწრაფვის აღზრდის მოწყობის საქმე, იგი თან და თან საზოგადოების ხელში გადადის და მასთან მკეიდრდება კომუნიზმი აღზრდის საქმეში.

დაწეულით განათლება უნდა აურს სახალხო. დემოკრატიის ზრდა და წინსვლა ნიშნავს თანასწორობის ზრდას, სრულ გათანასწორებისაკენ მსვლელობას. ყოველი დაწესებულება, რომელიც ამ გათანასწორებას ხელს უშლის და უთანასწორობას აკანონებს, მოსასპობია, შესაცვლელია. მაგალითად, ბევრ სახელმწიფოში წოდებრივი ორგანიზაცია ჯერ სრულიად არ დარღვეულა, წოდებრივი სიამაყე შენახულა და ხალხის ერთობას ხელს უშლის. სკოლამ სრულიად უნდა მოსპოს თავის კედლებში წოდებრივი განსხვავება. შეძლებითი უთანასწორობა კიდევ უფრო საგრძნობელია დღეს. სკოლა არ უნდა უწყობდეს ხელს შეძლებულთა ეგოიზმის განვითარებას, არ უნდა ზრდიდეს მათში რაიმე თავისებურ ეგოიზმს, რომელიც შეძლებულს აგრძნობინებს თავის ვითომდა უპირატესობას. ამიტომ დაწეულითი სკოლა ყველასთვის საერთო უნდა იყოს, რომ ღარიბ მუშის შვილი და მილიონერისა თანასწორნი იყვენ აღზრდის წინაშე. ეს შეამცირებს განკურძოებას, ორივე მხარეს შეაჩვევს ერთმანეთის მეტს პატივისცემას. ამერიკაში სწორედ ასეა საჭმე მოწყობილი. ამიტომაც ამერიკელს

სრულიად არ ესმის მდიდრის მედიდურება, მუშის აბუჩად აგდება. მისთვის ყოველი ამერიკელი სხვების თანასწორი მოქალაქეა.

დაწყებათი განათლება უნდა იყოს საგადატყიუფო და თანასწორი თრისაგე სქასისათვის. თუ წინად ქალი მონა იყო, ყოველსაც უფლებას მოკლებული და ფეოდალთა სატრფო საგნად იყო, დღეს მისი მდგომარეობა სრულიად შეიცვალა. დემოკრატიის გაძლიერებამ თან-და-თან წაშოსწია წინ დედა-კაციც. ის აქტიურ მონაწილეობას იღებს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ბევრ ადგილას კიდეც შეიძინა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი უფლებანი. გარდა ამისა დღეს დედაკაცი გამოვიდა შრომის პაზარზე და მამაკაცთან ერთად იბრძვის ლუკმა-პურის მოპოებისათვის, მუშაობს, შრომობს და ამით უთანასწორდება მამაკაცს. ხოლო ღირსებითი გათანასწორება მოითხოვს უფლებრივ გათანასწორებასაც. თავისუფალ საზოგადოებაში, სადაც არ არის ხელოვნური კედლები უპირატესობის გასამტკიცებლად, დედაკაცს არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მამაკაცს. ჩვენ დღითი დღე ვხედავთ, თუ როგორ ძლიერდება დე-

დაკაცის მნიშვნელობა ყოველ საზოგადოებრივ სარბიელზე. ახლოა ის დრო, როცა ყოველივე უპირატესობა, სქესებრივ განსხვავებაზე დამყარებული, სრულიად მოისპობა. გათანასწორება უფლებაში სხვათა შორის ნიშნავს გათანასწორებას აღზრდაში. ქალისათვის ისევე უნდა იყოს სავალდებულო დაწყებითი სწავლა, როგორც ვაჟისათვის. ამასთან ვაჟი და ქალი ერთად უნდა სწავლობდნენ სწავლის ყოველ საფეხურზე. კონების ტაძარში არ უნდა იკოდეს სქესებრივი გინკერძოება და უთანასწორობა. შვეიცარიაში და ბევრ ადგილას გერმანიაში ორივე სქესის ბავშვები ერთად სწავლობდნენ. ბავშვების ერთად აღზრდა გახდა, როგორც სისტემა, ახალ ზელანდიაში და ბევრს სხვა ავსტრალიის კოლონიაში. იგივე სისტემა შემოღებულია იაპონიაში. განსაკუთრებით არეული სკოლა დამკვიდრდა ამერიკაში განათლების ყოველ ხარისხში, როგორც სალი პედაგოგიური სისტემა, რომელსაც კეთილი გავლენა აქვს სოციალურ ცხოვრებაზე. ამიტომ ცოტოდნად შევჩერდეთ ამერიკაზე. პედაგოგების უმეტესი წილი მომხრეა ამ სისტემისა. აი სა-

ფუძველი, რომელიც მათ მოჰყავთ თავიანთ  
რწმენის გასამართლებლად: \*)

1. ეს სისტემა ბუნებრივია, რადგან ვა-  
უბი და ქალები აზ არიან განცალკევებულნი  
არც ოჯახში, არც საზოგადოებაში.

2. ეს სისტემა ეგუება არსებულ ზნეს,  
რადგან სრულიად ეთანხმება თანამედროვე  
საზოგადოების უფრო გავრცელებულ ჩვეუ-  
ლებათ და შეხედულობათ, აგრეთვე შტა-  
ტების კანონებს.

3. ეს სისტემა მიუღომელია, რადგან  
ორივე სქესს აწვდის განათლების ერთნაირ  
საშუალებას.

4. უფრო ხელსაყრელია, რადგან მოით-  
ხოვს მხოლოდ ერთ სკოლას.

5. აადეილებს პედაგოგიურ მისწრაფება-  
თა და გეგმათა განხორციელებას.

6. სასაჩვებლოა გონების, ზნეობისა და  
სოციალურ ჩვეულებათათვის.

ეს უკანასკნელი პუნქტი მეტად საყუ-  
რადლებოა. ერთად სწავლა ცხოვრების სკო-  
ლაა. აქ ვაუს აკლდება მოუხეშაობა და გრძ-  
ნობიერი და გულ-ჩვილი ხდება, ქალები კი

---

\*) ლევასერი. Народное образование въ  
цивилизованныхъ странахъ, гл. 280.

თავისუფლდებიან ჩვეულებრივ მორცხვობისაგან და მეტ გაბედულებას იძენენ. ამავე დროს ერთად აღზრდას დღიური მნიშვნელობა აქვს სქესებრივ სიწმინდისათვის და ურთიეროვნობას პატივასცემისათვის ამ მხრივ. თუ ამერიკელთა უმრავლესობა მიემხრო ქალ-ვაჟთა ერთად სწავლას, მას სხვა ქვეყნის გამოჩენილი პირებიც ეთანხმებიან. მოვიყვანთ მხოლოდ გამოჩენილ ინგლისელის ბრაისის აზრს, რომელიაც შესანიშნავად ასწერა ამერიკის დაწესებულებანი:

„ამერიკის დასამხრეთ მხარეს, სადაც უმაღლეს სასწავლებლებში შემოლებულია ქალ-ვაჟთა ერთად სწავლა, არ შეუმჩნევიათ, რომ ამ გარემოებას რაიმე ცუდი გავლენა ჰქონდეს საზოგადოებრივ ზნეობაზე. პირიქით, ამტკიცებენ, რომ თვითეული სქესი მეორეს აქეზებს გაუმჯობესების და წინსვლისათვის: მამაკაცი კარგავს მოუხეშავობას, დედაკაცის ხასიათი მეტ. სიმტკიცეს იძენს. მოხდება ხოლმე, რომ სტუდენტებს და სტუდენტ ქალს ერთმანეთი შეუყვარდებათ და სწავლის დასრულების შემდეგ დაქორწინდებიან. მერე განა ეს რამეს ხელს უშლის? ასეთი დაქორწინება შედეგია ახალ-

გაზრდების ურთიერთ დაახლოებით გაცნობისა, ისინი გაცილებით უფრო კარგად იცნობენ ერთმანეთს, ვიდრე ეს ჩვეულებრივად ხდება. როგორც დაკვირვება გვაჩვენებს, ასეთ ქორწინებას თითქმის ყოველთვის ბეღნიერი შედეგი მოსდევს. ასე ფიქრობენ ამერიკის დასავლეთში. ახალგაზრდა ქალ - ვაჟნი იქ ურთიერთ დამოკიდებულებაში არ ავიწროვებენ ერთმანეთს, და ახალგაზრდა ამერიკელი ქალი ყოველთვის შესძლებს თავისი ღირსება დაიცვას... მე არ შემხვედრია არც ერთი გონიერი ამერიკელი ქალი, რომელიც ევროპას იცნობდა და რომელსაც არ გამოეთქვა ის რწმენა, რომ ახალ ქვეყნის ჩვეულებათ კეთილი გავლენა აქვს ახალგაზრდობაზე: ახალგაზრდები აქ უფრო თავისუფლად სცხოვრობენ, ცოლ-ქმრობაში მეტ თანხმობას იჩენენ, ნაკლებ ღალატობენ ერთმანეთსაო. <sup>4</sup> ამ ნაირად ამერიკაში ერთად სწავლა შემოღებულია არა მარტო დაწყებით სკოლებში, კოლეჯებსა და უნივერსიტეტებშიაც.

რა გავლენა ჰქონდა და აქვს ასეთ სისტემას საზოგადოებაზე და კერძოდ ქალის მდგომარეობაზე? ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამერიკელ ქალს გაცილებით უფრო მეტი

აღგილი აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ვიდრე ევროპიელს. ამერიკელ ქალის მნიშვნელობა დღითი დღე იზრდება და ისიც უფრო მეტს და მეტს აქტიურ მონაწილეობას იღებს ცხოვრებაში. ამერიკის დემოკრატია სიხარულით ეგებება ამ ახალ მოვლენას და სამართლიანობადაც. თანასწორობა და სამართლიანობა მხოლოდ ამაღლებს და აფაქიზებს საზოგადოებას.

დაწყებითი განათლება უნდა იყოს საკო. როგორც მოგვხსენებათ, სარწმუნოება დამყარებულია ავტორიტეტზე, ის მოითხოვს უცილობელ რწმენას, უკრიტიკო დაჯერებას. აღამიანის აზრი კი შეუბოჭავი რამ არის, შეუძლებელია, მისი ზრდა და მისწრაფებანი შეაჩეროთ. კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენელნი მუდამ იმის ცდაში არიან, რომ გააფართოვონ აღამიანის ცოდნა, შეავიწროვონ უმეცრების ფარგალი. ხოლო ყოველი ცოდნის საფუძველი ეჭვია. ეჭვი ბადებს ძველის კრიტიკას და ახალის ძებნას. ეჭვი თანდაყოლილი თვისებაა ცოდნის და მეცნიერებისა. სადაც ეჭვი არ არის, იქ მეცნიერებაც არ არის. ეჭვი ბადებს ახალ კვლევას, კვლევას თან მოსდევს ახალ კანონის

აღმოჩენა. ყოველივე ეს კი სარწმუნოების წინააღმდეგია. სარწმუნოება დამყარებულია განსაზღვრულ საფუძველზე და მოითხოვს სრულ დაუფიქრებელ დაჯერებას, მორჩილებას. აქედან ცხადია, რომ ეჭვიანობის დასაწყისი სარწმუნოების დაკარგვაა, აქედან ისიც ცხადია, რომ ეკლესია ებრძვის მეცნიერებას. ძველი დრო აურაცხელ მაგალითებს გვაძლევს ამ ბრძოლისას. კათოლიკეთა და სხვა ეკლესიებმა აღმართეს კოცონები თავისუფალ აზრთან საბრძოლველად. გალილეის, ჯიორდანო ბრუნოს და მათთან უთვალავ დამოუკიდებელ მკვლევართ სდევნიდა ეკლესია და, თუ მთახერხებდა, სიცოცხლესაც უსპოდდა. ინკვიზიციის საპურიობილები ტანჯვა-წვალებით ესალმებოდნენ წუთისოფელს თავისუფალი მთაზრენი. მიუხედავად ასეთ სასტიკ და ულმობელ ბრძოლისა მეცნიერება, აზრის თავისუფლება თან-და-თან ვითარდებოდა, დემოკრატია თან-და-თან ძლიერდებოდა გონებრივად და მასთან თავისუფლდებოდა ეკლესიის ბორკილებისაგან. საფრანგეთის რევოლუციის მოლვაწეებმა კარგად დააფასეს სარწმუნოების აღგილი საზოგადოებაში, მათ სარწმუნოება გამოაცხადეს კერძო

პირის სინდისის საქმედ. „მთავრობა სკუნობს, რომ ყოველ პიროვნებას თავისუფლად შეუძლიან აარჩიოს რომელიც უნდა სარწმუნოება; იგი შეადგენს სრულს თავისუფლებას საფრანგეთის ყოველ მცხოვრებისას და სახალხო განათლებამ არ უნდა მიიღოს ისეთი სისტემა, რომელიც შეუძლებლად ხდის მოქალაქეთა ერთ ნაწილის ბაშვებისათვის სკოლაში სიარულს და ამნაირად არღვევს სოციალურ უფლებათა და უპირატესობათა თანასწორობას და მიანიჭებს ამა თუ იმ სარწმუნოებრივ მიმღინარეობას უპირატეს გავლენას, წინააღმდეგ აზრთა თავისუფლებისა . მთავრობამ შეიგნო, რომ საჭიროა განშორდეს ზეობრივი აღზრდა სარწმუნოების დოგმატიურ სწავლებას და გამოირიცხოს უკანასკნელი სკოლაში სასწავლ საგნების რიცხვიდან. სარწმუნოების დოგმატებს უნდა ასწავლიდნენ ეკლესიის მსახური საყდრებში. ამ შემთხვევაში სარწმუნოება არ შეუშლის ხელს სახალხო განათლებას, მშობლები უზიზლოდ გაგზავნიან თავიანთ ბავშვებს ნაციონალურ სასწავლებლებში, სახელმწიფო ძალაც ბორტად არ მოიხმარს სინიდისის უფლებას, იმ მიზეზით, რომ განავითაროს და ხელმძღვა-

ნელობა გაუწიოს მას“. ამ ნაირად საფრანგეთს ეკუთვნის სარწმუნოების გამოცალკევების საქვეში უპირატესობა. მან პირველმა გამოაცხადა ეხალი მოძღვრება, ხმა მაღლა და ენერგიულად. ამ მოძღვრებიდან ვხედავთ, რომ დემოკრატია სარწმუნოების წინააღმდეგი როდია, მას მიზნად არ დაუსახავს სარწმუნოება აღმოფხვრას. მისი მიზანია მხოლოდ სარწმუნოების ნეიტრალიზაცია, სარწმუნოების პოლიტიკიდან გამოშორება და მისი კერძო აღამიანის სინიდისის საქმედ აღიარება. სულ წინააღმდეგ მოქმედებენ დემოკრატიის მტერნი და თვით ეკლესიაც.

საყურადღებოა ვიცოდეთ ამ უკანასკნელთა აზრიც. ისინი ამბობენ: სარწმუნოება არის ზნეობის წყაროო. მაგრამ ეს შეცდომაა. იყო ღრო, როცა სარწმუნოება, ზნეობა და მეცნიერება თავის განუვითარებლობის გამო ერთ ფარგალში თავს დებოდნენ, ერთ სისტემას შეადგენდნენ. მაგრამ აქედან შორს არის ის აზრი, ვითომც ზნეობა სარწმუნოებაში ინერგებოდეს. ზნეობას და სარწმუნოებას ერთი და იგივე წყარო აქვს. ზნეობა შექმნა საზოგადოებამ, ეს არის პიროვნებაში ჩანერგილი საზოგადოებრივი რწმენანი ურთიერთ

დამოკიდებულების გასაწესიერებლად. აქედან ცხადია, შეგვიძლიან ზნეობა სარწმუნოების დამოუკიდებლად ვაღვიაროთ, დამოუკიდებლად ვასწავლოთ, რაც კიდეც დაამტკიცა დემოკრატიამ. მეორე აზრი უფრო საგულისხმიეროა. ისინი გულახდით ამბობენ: მდიდარი თავის სიამოვნების უზრუნველჰყოფას ღარიბის სარწმუნოებაში პპოვებსო. ღარიბს ეკლესია უქადაგებს მორჩილებას, მოთმინებას, ტანჯვის უჩივრად ატანას, სამაგიეროდ კი ზეცაში პპირდება სამოთხის ნეტარებას. წართვითო, ამბობენ ისინი, აქ დაბეჩავებულს იქ ბეღნიერების იმედი და მაშინ იგი მოიხსოვს ამ ქვეყნიერ ბეღნიერებას, ადამიანურ ცხოვრებას, აქედან კი დაიბადება გაბატონებულთა წინააღმდეგობა და რევოლუცია. ამ ნაირად ვხედავთ, რომ დაჩაგრძულთა სარწმუნოება პოლიტიკურ ხასიათს იძენს, დამჩაგვრელთა იარაღად ხდება. ამიტომაც დემოკრატია აუცილებელ საჭიროებად სთვლის სარწმუნოებას ჩამოაშოროს პოლიტიკური ხასიათი. აქედან იმართება ბრძოლა ეკლესიის და ყველა რეაქციონერების ერთის შერით, მეორე მხრით დემოკრატიის შორის.

როგორც ზევით ვთქვით, საფრანგეთის პირველმა რევოლუციამ დაწყებით სწავლას საერო ხასიათი მისცა. მაგრამ ისიც ვიცით, რომ საფრანგეთის მთავრობა რევოლუციის შემდეგ არა ერთხელ შეიცვალა და დღესაც სავსებით ვერ დამკვიდრდა მასში დემოკრატია. მთავრობის ხასიათის მიხედვით სასკოლო პოლიტიკა იცვლებოდა. 1848 წლის რესპუბლიკის მინისტრმა კარნომ წარუდგინა კანონ-პროექტი, რომელიც სკოლას სავსებით საერო ხასიათს ანიჭებდა. ეს კანონ-პროექტი შეასწორეს ისე, რომ სარწმუნოების სწავლა ნება დართულ იყო სკოლაში, მხოლოდ სწავლის დროს კი არა. შემდეგ ძირიანად შესცვალეს ეს დადგენილებაც. მხოლოდ მესამე რესპუბლიკა სცუილობს სავსებით დაამყაროს საერო განათლება. 1882 წლის პროგრამით სრულიად გამოირიცხა სასკოლო კანონით სარწმუნოებრივი აღზრდა. 1886 წელს ამ კანონს მიემატა მეორეც, რომელიც ამბობს: „ყოველ ხარისხის საზოგადოებრივ სკოლებში მასწავლებლობა უნდა მიეცეს მხოლოდ საერო პირებს“. ესეც საკმარისი არ გამოდგა. საფრანგეთში რეაქციის დროს წაქეზებულმა სასულიერო კონ-

გრეგაციებმა დაარსეს აურაცხელი სკოლები, სადაც სარწმუნოებრივი სწავლა სრულიად გაბატონებულია და სადაც ყოველი ზოგით ითესება დემოკრატიის წინააღმდეგი აზრები. ამიტომაც რესპუბლიკური მთავრობა მედგრად შეებრძოლა მას, რომ მოუსპოს სრულიად ახალთაობის სწავლების უფლება, როგორც დემოკრატიულ წყობილების დაუძინებელ მტერს. შევეხოთ იტალიას—1859 წელს ეგრედ წოდებულ „კაზატის კანონით“ დაწესდა საყოველთაო სარწმუნოებრივ სწავლის პრინციპი. კანონმა დაამკვიდრა თეოლოგიურ ფაკულტეტის არსებობა უნივერსიტეტში, სამღვთო სჯულის სწავლება გიმნაზიასა, ტეხნიკურ სკოლებსა და სახალხო სკოლებში. მაგრამ საზოგადოებრივი თვით-ცნობიერება ისეთი სწრაფის ნაბიჯით წავიდა წინ, რომ კაზატის კანონი მაღე გაუქმებულ იქმნა. 1873 წელს მოსკეს ტეოლოგიური ფაკულტეტი უნივერსიტეტებთან. 1877 წელს იანვარში გაუქმებულ იქმნა სამღვთო სჯულის სწავლება გიმნაზიებში, ხოლო იმივე წლის ივლისში სავალდებულო დაწყებით განათლების შემოლებასთან ერთად მოისპონ სამღვთო სჯულის სწავლება სახალხო სკო-

ლებშიაც, მის მაგიერ სავალდებულო საგნათ შემოიღეს მოქალაქეობრივ ზნეობის (morale civile) ანუ „ადამიანის და მოქალაქის მოვალეობათა შესახები ელემენტარულ ცნობების სწავლება“.

სხვა ქვეყნებს ალარ შევეხებით. ჩვენი მიზანია არა საგნის სავსებით შესწავლა, არა-მედ გამორკვევა ტენდეციისა. მგონია, საკ-მაოდ გამოვარკვიეთ როგორც ეკლესიის ტენდენცია, ისე დემოკრატიისა.

დემოკრატიამ განაცხადა: სკოლა და ეკ-ლესია შეუთანხმებელი მცნებანია; სკოლის საფუძველია ცდა და გონება, მისი მიზანია ასწავლოს ბავშვს ყველაფრის ახსნა, ყველა-ფრის გაგება, ყველაფერს მეცნიერული ახსნა მისცეს. ეკლესია კი თხოულობს უცილობელ რწმენას აუხსნელისა. გარდა ამისა შეუწყნა-რებელია ეკლესიის პოლიტიკანობა. ამიტო-მაც დემოკრატიის პრინციპია: ეკლესია გა-მოაშოროს სახელმწიფოს გამგეობას, გახა-დოს კერძო სინდისის საქმეთ და სკოლაში კი დაამყაროს საერო პრინციპი.

დაწყებითი განათლება დამყარებული უნ-და იუთს ეროვნულ ნიადაგზე. ჩვენ ამით ის არ გვინდა ვთქვათ, თითქო სკოლა უნდა ავი-

თარებდეს ეროვნულ ეგოიზმს, შოვინიზმს, სთესავდეს ერთა შორის სიძულვილს და მტრობას. სრულიადაც არა. ჩვენ ამით აღვიარებთ მთრთალ პედაგოგიურ პრინციპს. შეუძლებელია გონიერი სწავლება, გონიერი აღზრდა თუ მას საფუძვლად არ უდივს სამშობლო, ენა და სამშობლო კულტურა. სწავლების ძირითადი პრინციპია თან-და-თანი გადასვლა ნაცნობილან უცნობზე, ახლოდან შორეულზე. სამშობლო ენა იმდენად შესისხლხორცებულია ადამიანის გონებრივ არსებასთან, რომ მისი უარყოფა ადამიანის გონების ვანადგურებაა, მისი დაბეჩავებაა. ეს კარგად ესმის ყოველს ცოტაოდნად განვითარებულ ხალხს. ამიტომ სკოლა ნაციონალურია ყოველ ქვეყანაში. მხოლოდ ამ შემთხვევაში ცუდ მდგომარეობაში არიან ზოგიერთი დაბეჩავებული ერები, მაგრამ ისინიც თავგანწირვით იბრძვიან სკოლის ნორმალურ მდგომარეობაში ჩაყენებისათვის. სკოლა უნდა იყოს თავისუფალი განვითარების ტაძარი, ის უნდა იყოს მიმზიდველი, საყვარელი დაწესებულება, როგორც მშობლებისა, ისე შვილებისათვის. და თუ გაბატონებული ხალხი სარგებლობს სკოლით, როგორც იარაღით

დაპყრობილთა დასარჩობად, მაშინ სკოლა  
იქცევა წვალების იარაღად, კულტურულ გა-  
ნადგურების საშეალებად. ამიტომ ჩვენი მი-  
ზანია მოვუპოვოთ სკოლას მისი ნორმალუ-  
რი, კანონიერი ხასიათი, დავამკვიდროთ მას-  
ში ეროვნული, სამშობლო ენა.

დავასრულოთ. ჩვენ ვნახეთ, რომ დე-  
მოკრატიის ზრდა დღევანდელ საზოგადოე-  
ბაში აუცილებელი პროცესია. იმავე დროს  
ისიც გამოვარკვიეთ, რომ დემოკრატია გან-  
საკუთრებულ ყურადღებით ეპყრობა აღზრ-  
დის საქმეს და სკოლობს კოდნის სიტკბო-  
ება საერთო განძაღ გახადოს. ამიტომაც მან  
შეიმუშავა მთელი სისტემა განათლების საქ-  
მეში და ამ სისტემას შეუჩერებლივ ახორ  
ციელებს ცხოვრებაში. ის ახორციელებს გა-  
ნათლების, კოდნის დემოკრატიზაციას. აი  
დემოკრატის ფირმულა დაწყებით განათლე-  
ბის საქმეში:

დაწყებითი განათლება უნდა იყოს სა-  
გადაებულო თრიგე სქესისათვის თექვებეტ  
წლამდე, უსასეადლო, საერთო და ერთგ-  
ნედი.

